პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 185 (5215)

1974წ. 18 სექტემბერი, ოთხშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## აფხაზეთის კულტურის დღეები

თბილისში, როგორც ცნობილია, მიმდინარეობს აფხაზეთის კულტურის დღეები. ჩვენს დედაქალაქში ჩამოვიდნენ მზიური ავტონომიური რესპუბლიკის გამოჩენილი ადამიანები, რომლებმაც სახელი გაუთქვეს თავიანთ მხარეს. იმართება გულთბილი შეხვედრები აფხაზეთის მხატვრულ კოლექტივებთან, კონცერტები, მხატვრული ფილმების ფესტივალი...

აფხაზეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს ფიზიკური კულტურა და სპორტი. იქაურ სპორტსმენთა სახელები ფართოდაა ცნობილი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. აფხაზეთის მკვიდრთ განსაკუთრებით უყვართ სპორტის ეროვნული სახეობანი...



ს უ რ ა თ ზ ე: აფხაზეთის ცხენოსნები ისინდის თამაშის დროს. მ. ზარგარიანის ფოტო.

## თბილისელი ძიუდოისტის ბრინჯაო

რიო-დე ჟანეირო, 17 სექტემბერი. ბრაზილიის ამ ქალაქში 23 ქვეყნის ჭაბუკი ძიუდოისტები ერთმანეთს მსოფლიო პირველობას ეცილებოდნენ. საბჭოთა სპორტსმენებმა 1 ოქროს და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ტურნირი უდანაკარგოდ განვლო ჩელიაბინსკელმა ქვემძიმეწონოსანმა (93 კგ-მდე) ვ. ბეთანოვმა. მან ყველა შერკინება ვადამდე დაასრულა: ურუგვაელ მ. ესტოლას, კანადელ ჰ. ხიროზას, ინგლისელ ჯ. დონალდსა და ბელგიელ პ. ვან დე ვალეს სული არ მოათქმევინა. ოქროს მედალი მართლაც ალალი იყო ბეთანოვისთვის!

ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს თბილისელმა თ. ხუბულურმა (93 კგ-ს ზევით) და მაიკოპელმა ა. სპიროვმა (70 კგ-მდე). III ადგილისთვის შერკინებაში სპიროვმა მსოფლიო ჩემპიონატის თავისებური რეკორდი დაამყარა: 5 წამში დაამარცხა მექსიკელი რ. ფულონი.

დანარჩენი საბჭოთა ძიუდოისტები შეჯიბრებას ადრეულ სტადიებზე გამოეთიშნენ.

## მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

● ●

## კარპოვი — კორჩნოი 0,5 : 0,5

მოსკოვი, 17 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა ა. კარპოვ — ვ. კორჩნოის მატჩის I პარტია.

კორჩნოიმ (თეთრები) ბრძოლა დაიწყო თავისი საყვარელი სადებიუტო სისტემით — ინგლისური დასაწყისით. მან აირჩია სწორედ ის გაგრძელება, რომელმაც გამარჯვება მოუტანა ტ. პეტროსიანთან პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩის III პარტიაში. რა თქმა უნდა, კარპოვი მზად იყო ამ დებიუტის წინააღმდეგ სათამაშოდ. ეს იმაშიც გამოჩნდა, რომ საპასუხო სვლებს სხაპასხუპით აკეთებდა.

სპეციალისტებმა შეამჩნიეს, რომ მეტოქენი გაკვალულ გზას მიჰყვებოდნენ: გაიმეორეს მადრიდის 1973 წლის საერთაშორისო ტურნირიდან ულმან — ფურმანის პარტიის პირველი 17 სვლა. კარპოვის მწვრთნელმა, დიდოსტატმა ს. ფურმანმა მოიგო ის შეხვედრა. ცხადია, ულმან — ფურმანის პარტიას კარპოვი კარგად იცნობდა. იგი თავად მონაწილეობდა მადრიდის საერთაშორისო ტურნირში (მან I ადგილი დაიკავა, ფურმანმა — III). მერე, მატჩისთვის მზადებისას, გააანალიზებდა პარტიას, ვინაიდან ამ სისტემას კორჩნოი ხშირად იყენებს.

თეორეტიკოსების შეხედულებით, 17 სვლის შემდეგ პოზიცია თანაბარია, თუმცა შავებს ცენტრში ორი ჩამორჩენილი პაიკი აქვთ. მე-18 სვლაზე კორჩნოიმ განსხვავებულად ითამაშა, ვიდრე ულმანმა. მან ორი კუს უპირატესობა მიიღო, სამაგიეროდ, კარპოვმა ცენტრში მხედარი წამოასკუპა.

კორჩნოიმ თამაშის ლოგიკური გეგმა აირჩია: შეუტია ცენტრალიზებულ მხედარს, რომლის თავიდან მოშორებაც მას გარკვეულ პოზიციურ უპირატესობას მისცემდა, შავების ცენტრალური პაიკების სისუსტეც მკაფიოდ გამოჩნდებოდა. კარპოვმა შეძლო ძლიერი 27-ე სვლით უვნებელეყო მუქარა. მხედრის გაცვლა კორჩნოის ბანაკში თეთრ უჯრებს დაასუსტებდა.

შეიქმნა კრიტიკული სიტუაცია. კორჩნოის თამაშის ახალი გეგმა უნდა მოენახა ინიციატივის გასაღვივებლად. ასეთ გეგმად მსოფლიოს ექს-ჩემპიონ პეტროსიანს მეფის ფრთის პაიკების წინსვლა მიაჩნია. კორჩნოიმ სწორედ ამ პაიკებით ითამაშა, მაგრამ ისე, რომ აქტიური ოპერაციების საშუალება მთლიანად მოისპო. ამას რომ მიხვდა, სვლების გამეორება დაიწყო. კარპოვს ყაიმის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ 28-ე სვლაზე თავად იმეორებდა სვლებს.

გთავაზობთ I პარტიის ტექსტს:

**კორჩნოი — კარპოვი**

ინგლისური დასაწყისი

1. c4 მf6 2. მc3 e6 3. მf3 b6 4. e4 კb7 5. ლe2 კb4 6. e5 მg8 7. d4 d6 8. კd2 de 9. de მa6 10. 0—0—0 ლe7 11. g3 0—0—0 12. კg2 მc5 13. კg5 f6 14. ე:d8+ ლ:d8 15. ეd1 ლe8 16. ef gf 17. კd2 მe7 18. მe4 მ:e4 19. კ:b4 მc6 20. კa3 f5 21. მe1 ლg6 22. f3 მg5 23. f4 მe4 24. მf3 ლf6 25. ლe3 ეd8 26. ე:d8+ მ:d8 27. მg5 ლg6 28. მf3 ლf6 29. კb4 c5 30. კe1 მf7 31. კf1 კc6 32. კd3 მg:b7 33. h3 ლh6 34. h4 ლg6 35. მg5 მfd6 36. მf3 მf7 37. მg5 მfd6. ყაიმი.



ს უ რ ა თ ზ ე: მატჩის პირველი პარტია. ვ. ფიოდოროვის ფოტო („კომსომოლსკაია პრავდა").

## ეს აქტიური სიცილიური დაცვა

სოჭში მ. ჩიგორინის მემორიალის პირველი ნახევარი ყველაზე წარმატებით ლ. პოლუგაევსკიმ (მოსკოვი) განვლო. იგი მსუბუქად და ზუსტად თამაშობდა და 8 ტურში 6 ქულა დააგროვა (ოთხი მოიგო და ამდენივე ყაიმით დაამთავრა).

მემორიალის პირველი ნახევარი II ადგილზე მყოფმა მოსკოველმა ა. სუეტინმაც დაუმარცხებლად დაძლია. მას 5,5 ქულა აქვს. ამდენივე ქულა დააგროვა რ. ხოლმოვმა (მოსკოვი), მაგრამ იგი ბ. ცეშკოვსკისთან (ომსკი) დამარცხდა. IV-V ადგილებზე არიან გ. ფორინტოში (უნგრეთი) და ვ. იანსა (ჩეხოსლოვაკია) — 4,5-4,5.

ბოლო ოთხ ტურში რამდენიმე საინტერესო ამბავი მოხდა. ავსტრიელმა დიდოსტატმა კ. რობაჩმა კუბელ ს. გარსიას უკვე 13-ე სვლაზე დააყრევინა ფარ-ხმალი, რაც იშვიათი შემთხვევაა. ცეშკოვსკი ი. ანიკაევთან (ნოვოკუზნეცკი) პარტიაში ვარიანტების გამოანგარიშებით ისე გაერთო, რომ დროს გადააცილა... 25-ე სვლაზე.

VI ტურის რვა პარტიიდან ხუთში სიცილიური დაცვა გათამაშდა. ეს სადებიუტო სისტემა ამ მემორიალში განსაკუთრებით პოპულარულია. სამი შეხვედრა ყაიმით დამთავრდა, ორში კი შავებმა იმარჯვეს.

ამავე ტურში ვ. სმისლოვმა (მოსკოვი) პირველი გამარჯვება იზეიმა რობაჩთან შეხვედრაში. რობაჩმა პირველი გამარჯვების სიამოვნება პოლონელ ოსტატ ა. შნაპიკსაც განაცდევინა. ტურნირის ერთ-ერთმა აუტსაიდერმა ხ. ვესტერინენმა (ფინეთი) ჯერჯერობით მხოლოდ რობაჩსა და ლ. ესტივს (გდრ) მოუგო. მხოლოდ რუსეთის ფედერაციის ჩემპიონს ნ. რაშკოვსკის ჯერ ერთი პარტიაც არ მოუგია.

(საკდესის სპეც. კორ.).

სოჭი, 17 სექტემბერი.

მწვავე რეპლიკა

## მადლს მარილიც უნდა მოეყაროს...

სოფელ სავანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა შვილებმა ახალი სასწავლო წელი სოფლის ცენტრში აგებული ახალი სამსართულიანი რვაწლიანი სკოლის შენობაში დაიწყეს. მოსწავლეებს გადაეცათ სპორტული დარბაზი და სიცურაო აუზი სკოლის ეზოში.

სპორტდარბაზს აქვს განათება, გათბობა, გასახდელები, მაგრამ სათანადო ინვენტარით არ არის აღჭურვილი, აუზში კი არ არის... წყალი. მართალია, მეზობლად ჭა გაკეთდა, მაგრამ საეჭვოა, რომ მან აუზს სამსახური გაუწიოს. აუზის წყლით უზრუნველყოფის საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ეს საწყლოსნო ბაზა ერთადერთია რაიონში. აქ შეიძლება რაიონული მასშტაბის შეჯიბრებების ჩატარება, მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება.

ეს სერიოზული ნაკლოვანებები სკოლაში სპორტულ მუშაობას აფერხებს. მადლი გაკეთდა, მაგრამ, როგორც ხალხი ასეთ შემთხვევაში ამბობს, მას მარილიც უნდა მოეყაროს. სპორტდარბაზი უნდა უზრუნველვყოთ აუცილებელი ინვენტარით, აუზი კი — წყლით.

ა. ანასაშვილი.

(ჩვენი კორ.).

სოფ. სავანე, საჩხერის რაიონი.

## ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

### სტარტზე 6 ათასზე მეტი კაცია

აზერბაიჯანის VI სპარტაკიადა რესპუბლიკური რეკორდებით დაიწყო. მათ ავტორებად მშვილდოსნები მოგვევლინენ. ერთ-ერთმა რეკორდსმენმა ე. ვერდიცკაიამ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულა. თავი გამოიჩინა, აგრეთვე, ბაქოელმა ჭაბუკმა, მეათეკლასელმა მ. მიქელაძემ, რომელიც აზერბაიჯანის ჩემპიონიც გახდა და რეკორდსმენიც.

ფინალური შეჯიბრებების 6 ათასზე მეტ მონაწილეს თავისებური მარათონის გავლა მოუწევს, რომელიც გაისად მაისში დამთავრდება. სპარტაკიადის პროგრამაში შეტანილია 32 სახეობა, მათ შორის — 27 ოლიმპიური.

ბაქო.

## საჭადრაკო მიმოხილვა

## კორტებზე გასვლის წინ

პუნა, 16 სექტემბერი. მახარაშტრის შტატის ამ ქალაქის „დეკან ჯიმხანა კლაბის" ბალახის კორტებზე ახლა საბჭოთა ჩოგბურთელები ვარჯიშობენ. მთელს ინდოეთში ამ ცნობილი კლუბის ხარბიელზე ისინი 20 სექტემბრისთვის ემზადებიან. ალბათ გახსოვთ: იმ დღეს ინდოეთის გუნდთან დევისის თასის გათამაშების ნახევარფინალური საზონათშორისო მატჩი უნდა დაიწყოს.

სსრ კავშირის ნაკრებში არიან ქვეყნის ჩემპიონი ა. მეტრეველი, მოსკოვის მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი თ. კაკულია, ვ. კოროტკოვი, აგრეთვე, 19 წლის ჩოგბურთელები ბ. პუგაევი და ვ. ბოროვიკოვი.

ინდოეთის ღირსებას დაიცავენ ქვეყნის ჩემპიონი ვ. ამრიტრაჯი, მისი ძმა ანანდი, ჯ. სინგხი და შ. მენონი.

გამოცხადებულია მატჩის მთავარი მსაჯიც — უნგრელი გორადი. (საკდესი).

# ხუთწლედი — ვადამდე!

## თბილისის სპორტკლუბმა „ივერიამ" ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების ხუთწლიანი გეგმა გადაჭარბებით შეასრულა

## კომბინატის შემხვედრი გეგმა

თბილისის „საპატიო ნიშნის" ორდენოსანი მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" დირექცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სპორტკლუბ „ივერიის" გამგეობა, კომბინატის აქტივი გაცნობებთ, რომ ჩვენმა კოლექტივმა ვადამდე — 1974 წლის 20 აგვისტოსთვის გადაჭარბებით შეასრულა 1971-75 წლების „სპორტული ხუთწლედის" ვალდებულებანი.

1971 წლიდან 1974 წლის 20 აგვისტომდე სპორტკლუბმა მოამზადა 11 სპორტის ოსტატი (გეგმა — 11), 17 სპორტის ოსტატობის კანდიდატი (15), 80 პირველთანრიგოსანი (54), 275 მეორე (125), 861 მესამე (740) და 128 მოზარდთა (100) თანრიგების სპორტსმენი.

კომბინატის ფიზკულტურულმა კოლექტივმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა ფიზკულტურელთა რიგების, სპორტსაზოგადოება „განთიადის" წევრთა რიცხვის, საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების რაოდენობის ზრდაში. განვლილ 3 წელიწადსა და 8 თვეში მოვამზადეთ 283 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი (გეგმა — 61), 94 ფიზორგი და ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე (48), 171 საზოგადოებრივი მსაჯი (57), 80 საწარმოო ტანვარჯიშის საზოგადოებრივი ინსტრუქტორი (77).

მეცხრე ხუთწლედში კომბინატის ფიზკულტურელთა რაოდენობა გეგმით 2100 კაცამდე უნდა ასულიყო. 20 აგვისტოსთვის ამ ციფრსაც საგრძნობლად გადავაჭარბეთ: ახლა კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა 88 პროცენტი ფიზკულტურელია, სპორტსაზოგადოება „განთიადის" წევრი კი — 67 პროცენტი.

კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" ფიზკულტურულმა კოლექტივმა და მისმა სპორტკლუბმა ენერგიული შრომით შეძლეს მეცხრე ხუთწლედის განვლილ პერიოდში მშდ კომპლექსის 1272 ნიშნოსნის მომზადება, რაც ხუთწლედის გეგმას შვიდი კაცით აღემატება. აქედან 560 კაცმა კომპლექსის ყველა ნორმატივი ჩააბარა.

კომბინატში გამაჯანსაღებელი ღონისძიებებიც მაღალ დონეზეა დაყენებული. საწარმოო ტანვარჯიშმა ჩვენთან თავიდანვე მტკიცედ მოიკიდა ფეხი და ამჟამად ამ ღონისძიებებში 2630 კაცია ჩაბმული, რაც ხუთწლედის გეგმას 30 ადამიანით აღემატება. სხვა გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში 720 მშრომელი მივიზიდეთ.

სპორტსმენებმა, კომბინატის ფიზკულტურულმა ორგანიზაციამ უყელა ამ წარმატებას მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული საქმიანობის, საამქროებს შორის სოციალისტური შეჯიბრების სათანადო დონეზე დაყენებით, შიდასაკოლექტივო ტურნირების ხშირი ჩატარებით, სარაიონო, საქალაქო, პროფკავშირის დარგობრივი კომიტეტის შეჯიბრებებში რეგულარული მონაწილეობით მიაღწიეთ.

„ივერია" საქართველოში პირველი, ხოლო სსრ კავშირში ერთ-ერთი პირველი კოლექტივი იყო, რომელმაც მშდ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისადმი მიძღვნილი შეჯიბრება 1972 წლის 1 მარტს გამართა. მას შემდეგ ტრადიციული გახდა მშდ კომპლექსის ყოველწლიური სპარტაკიადები.

„განთიადის" ჯანმრთელობის სპარტაკიადებში ბოლო წლებში სამჯერ ზედიზედ მოვიპოვეთ ვიმპელები.

სპორტკლუბების სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის „ივერია" 1972 და 1973 წლებში მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, ვიმპელებითა და სიგელებით დაჯილდოვდა.

სახალხო მეურნეობის განვითარების 1973 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისთვის ბრძოლაში კომბინატის ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების აქტიური მონაწილეობისთვის, აგრეთვე, კომბინატში ფიზკულტურულ სპორტულ მუშაობაში მაღალი მაჩვენებლებისთვის კომბინატი ა. წ. მარტში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის საკავშირო კომიტეტის დიპლომებით დაჯილდოვდა.

„ივერიას" საქართველოს, „განთიადის" ცენტრალური საბჭოსა და საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ ნაკრებ გუნდებში სპორტის 9 სახეობაში ჰყავს წარმომადგენლები.

გავითვალისწინეთ რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის დადგენილებანი რესპუბლიკაში მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის ამაღლების შესახებ, აგრეთვე, მშდ კომპლექსის შემდგომი დანერგვის აუცილებლობა, დავიწყეთ კომბინატის სპორტული ბაზების კეთილმოწყობა, დავსახეთ სპორტკლუბში მძლეოსნობის, ცურვის, კალათბურთისა და სხვა ჩამორჩენილი სახეობების განვითარების ღონისძიებანი. ამ ამოცანის განხორციელების, აგრეთვე, კომბინატში ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის კიდევ უფრო ამაღლებისთვის ავიღეთ მეცხრე ხუთწლედის შემხვედრი ვალდებულება 1975 წლის ბოლოსთვის დამატებით მოვამზადოთ 8 სპორტის ოსტატი, 10 სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 25 პირველთანრიგოსანი, სხვა თანრიგების 300 სპორტსმენი, მშდ კომპლექსის 400 ნიშნოსანი. კიდევ უფრო განვამტკიცებთ შრომისა და სპორტის კავშირს, ვიბრძოლებთ მშრომელთა ჯანმრთელობის შემდგომი ამაღლებისთვის, მათი ჰარმონიული განვითარებისთვის, ფიზკულტურასა და სპორტში მშრომელთა რაც შეიძლება ფართო მასების მიზიდვისთვის.

კომბინატის კოლექტივის დავალებით:

**რ. კუპრავა,**
კომბინატის დირექტორი.
**ი. ივანეიშვილი,**
პარტკომის მდივნის მოადგილე.
**ნ. ბაბალიშვილი,**
საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.
**ა. ლამბაშიძე,**
კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი.
**გ. ხიტურიძე,**
სპორტკლუბის გამგეობის თავმჯდომარე.
**გ. კოზალიოვი,**
ფიზკულტურის უფროსი ინსტრუქტორი.
**რ. მამაჯანოვი,**
სტადიონის დირექტორი.
**გ. კოტრიკაძე, კ. ანთელავა, გ. თედორაძე, ი. სტადუხინი,**
აქტივისტები.

# წარუშლელი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისის საკონდიტრო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა გადაწყვიტეს თავიანთი შვებულება კავკასიის ირგვლივ ლაშქრობაში გაეტარებინათ. მათი მარშრუტი, რომელიც რვა დღეღამეში დაფარეს, ასეთი იყო: ქუთაისი — გორი — მცხეთა — ფასანაური — ყაზბეგი — ორჯონიკიძე — ნალჩიკი — პიატიგორსკი — ჩერკესი — ყარაჩაევსკი — ტებერდა — დომბაი — კრასნოდარი — ტუაფსე — სოჭი — სოხუმი — ზუგდიდი — ქუთაისი.

მეკონდიტრეები იყვნენ იალბუზის ყინვარზე, კლუხორის ზეკარზე... მათ დაათვალიერეს საბრძოლო დიდების მუზეუმი და წარუშლელი შთაბეჭდილებებით აღსავსენი დაბრუნდნენ შინ.

საკონდიტრო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა გადაწყვიტეს ყოველი წლის შვებულება მრავალდღიან ტურისტულ ლაშქრობებში გაატარონ.

**ხ. კიშიბაძე,**
ქუთაისის ტურისტული კლუბის „ოქროს ჩარდახის" ინსტრუქტორი.



სურათზე: ქუთაისელი მეკონდიტრეები კლუხორის ზეკარზე.

ავტორის ფოტო.

# თეთრი და შავი არაგვი

ჭადრაკი სპორტის ის სახეობაა, სადაც შედარებით გულდამშვიდებული შეგვიძლია ვიყოთ. ამერიკას არ აღმოვაჩენთ, თუ ვიტყვით, რომ ქართული საჭადრაკო სკოლის ჩინებული რეპუტაცია მნიშვნელოვანწილად განპირობებულია ჩვენი ქალების წარმატებებით. ამ საამაყო ფაქტს წყალი არ გაუვა. გინდა აქეთ მიუდექი, გინდა იქით, ჭადრაკის დედოფალი ქართველია, ხოლო ტახტის ერთ-ერთი მაძიებელთაგანიც საქართველოს შვილია. რაც შეეხება განსაცვიფრებელი ნიჭის მქონე 13 წლის მაია ჩიბურდანიძეს, მან აქამდე არსებული ყველა რეკორდი მოხსნა (თუ კი ჭადრაკში საერთოდ შეიძლება რეკორდები არსებობდეს).

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, ქართული ჭადრაკის ქომაგები გამობრძმედილ გულშემატკივრებად ჩავითვლებით და ჩვენი გაკვირვება არც თუ ისე ადვილია, სიხარულით ცას ვეწიეთ, როცა ფიდე-ს მორიგი კონგრესიდან მოვიდა ცნობა პატარა მაიასთვის საერთაშორისო ოსტატის წოდების მინიჭების თაობაზე.

ეს არის ძლევამოსილი ტრიო, ჩვენი ჭადრაკის აწმყოცა და მომავალიც. მაგრამ ასეთი თვალსაჩინო ტრიუმვირატი, რომელიც ფლობს და დარაჯობს კიდეც საჩემპიონო ტახტის მისადგომებს, შიშველ ადგილზე არ წარმოიქმნება. ეს სულაც არ არის საჭადრაკო ოაზისი, არამედ ქართული ჭადრაკის დიდ ბაღში აღმოცენებული ყველაზე მძლავრი ხეხილია. ერთი სიტყვით, ჩვენი ჭადრაკის ავანგარდის უკან დგას მეტ-ნაკლებად ძლიერ მოჭადრაკე ქალთა არმია, მათ შორის ბრძნული თამაშის სავსებით ნორჩი მიმდევრები. და ნუ გაგიკვირდებათ, თუკი მათი რიგებიდან თვით მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინის მაძიებლებიც კი გამოვლენ.

აი, რატომ ვამბობთ, რომ ქალთა ჭადრაკი ულევი ოპტიმიზმით აღგვავსებს. ამ მოძრაობას საფუძველი ჯერ კიდევ ომის შემდეგ ჩაეყარა. ბარაქალა ჩვენს ქალებს, რომლებმაც, სპორტის ბევრი სახეობის წარმომადგენელთაგან განსხვავებით, არა თუ გაფლანგეს წინათ მოპოვებული ტრადიციები, არამედ შეუდარებლად ამრავლეს და განამტკიცეს. აქვე გვინდა გავიხსენოთ ბოტვინიკის სიტყვები, რომლებიც თავისებურ კალამბურს წარმოადგენს. „მაია ჩიბურდანიძე ჩვენი ჭადრაკის ამომავალი ვარსკვლავია. აი, ვის შეუძლია მომავალში ღირსეული მეტოქეობა გაუწიოს თვით ფიშერს". არა, ეს საგაზეთო კორექტურა არ გეგონოთ, ნურც პირდაპირი მნიშვნელობით გაიგებთ ბოტვინიკის ნათქვამს. უბრალოდ, მან ხაზგასმით აღნიშნა ჩიბურდანიძის კაშკაშა ტალანტი და მეტი თვალსაჩინოებისთვის იგი თვით ფიშერს დაუპირისპირა.

რაც შეეხება ვაჟთა ჭადრაკს, იგი ჯერჯერობით ჩრდილშია, თუმცა აქაც შეინიშნება სასიკეთო ძვრები. ვერ ვიტყვით, თითქოს ჩვენი ვაჟების მოკრძალებული როლი საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე მათი „ჯენტლმენობით" იყოს გამოწვეული, აქაოდა ქალები არ დავჩაგროთო.

ვაჟების ავანგარდში დგანან „მოწვეული" დიდოსტატი ედუარდ გუფელდი, „შინაურები" — დიდოსტატი ბუხუტი გურგენიძე, საერთაშორისო ოსტატი რომან ჯინჯიხაშვილი, ოსტატები თამაზ გიორგაძე და ელიზბარ უბილავა. ამ ოთხეულზე ბევრადაა დამოკიდებული ქართული საჭადრაკო სკოლის შემდგომი წინსვლა-განვითარება. და არა იმდენად იმიტომ, რომ ისინი საკმაოდ ძლიერი მოჭადრაკეები არიან. უბრალოდ, მათს მაგალითზე, მათს გაკვალულ ბილიკზე უნდა იაროს მოჭადრაკეთა მომავალმა თაობამ. ეს კიდევ დასადგენია და ყურადღებით შესასწავლი, თუ რატომ არიან აგრერიგად დაწინაურებული ჩვენი ქალები, ხოლო ვაჟები მოკრძალებული როლით კმაყოფილდებიან დიდ შეჯიბრებებში. რა თქმა უნდა, ძნელია ყველა მიზეზის ჩამოთვლა. ეს არც შედის ჩვენს კომპეტენციაში, მაგრამ ავტორიტეტულ საჭადრაკო წრეებში გავრცელებული მოსაზრების მიხედვით ქალთა ჭადრაკის წარმატებათა თავი და თავია, რომ ჩვენ მსოფლიო ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი გვყავს.

მართალია, ვაჟთა შორის ამ მასშტაბის მოჭადრაკეები არ გვყოლია, მაგრამ ქართველი ვაჟები წარსულში არც თუ ისე იოლად დასაჩაგრავი იყვნენ.

მაშ, რითაა განპირობებული „ორი არაგვის" არსებობა ჩვენს საჭადრაკო ცხოვრებაში? იქნებ ამ საკითხმა სპეციალისტთა შორის ირონიული ღიმილიც კი გამოიწვიოს, მაგრამ ფაქტი, როგორც იტყვიან, ჯიუტია: ჭადრაკის მოყვარულთ ძალიან აინტერესებთ ამ საკითხის გარკვევა, მაგრამ დღემდე გასაგები და ამომწურავი პასუხი ჯერ მიუღიათ. ვფიქრობთ, მის გადასაწყვეტად საჭირო არ არის რაიმე ქირურგიული ოპერაცია, ან მორიდებული კვლევა-ძიება. საჭიროა და აუცილებელიც ჩვენი ვაჟებისგან — მწვრთნელებისგან და მოჭადრაკეებისგან მოვითხოვოთ უფრო ნათელი და გარკვეული პასუხი. ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო და ჩვენ სულაც არ გვხიბლავს „ღარიბი ნათესავების" როლი მოჭადრაკე ვაჟთა სარბიელზე. და ეს მაშინ, როცა თვით კორჩნოი კარპოვთან ისტორიული მატჩის წინ თავის ერთ-ერთ მწვრთნელად ასახელებს ჯინჯიხაშვილს, მოჭადრაკეს, რომელიც სასიამოვნოდ გვაცვიფრებს პერიოდული წარმატებებით.

მეტს მოველით ცნობილი დიდოსტატის გუფელდისგან. და არა მარტო საჭადრაკო დაფასთან, არამედ საჭადრაკო ლაბორატორიაშიც.

კარგად გვესმის, რომ ამ მოჭადრაკეებს თავიანთი პირადი გეგმები აქვთ და ინტენსიური სამწვრთნელო მოღვაწეობა მათი საჭადრაკო კარიერისთვის შესაძლებელია ერთგვარად საზიანოც კი აღმოჩნდეს. მაგრამ თითო ოროლა ნიჭიერ ახალგაზრდა მოჭადრაკეზე მეურვეობა მათ არამც და არამც არ უნდა გაუჭირდეთ.

საკითხავია, ნუთუ მათ არ აღელვებთ ჩვენს რესპუბლიკაში ვაჟთა ჭადრაკის შედარებით დაბალი დონე? კარგია პოპულარული თეორიული წერილების გამოქვეყნება, საუბარი რადიოსა და ტელევიზიის საშუალებით, მაგრამ გაცილებით უკეთესი იქნება, თუ საქართველოს ძლიერი, გამოცდილი მოჭადრაკეები ამთავითვე სერიოზულად მოკიდებენ ხელს მომავალი ცვლის აღზრდა-დაოსტატებას. გარდა ამისა, ვინ, თუ არა მათ, უნდა მიაწოდონ საჭადრაკო პრესას საკუთარი მოსაზრებები ქართული საჭადრაკო ცხოვრების საჭირბოროტო, საკვანძო საკითხებზე. ეს არა მარტო გამოავლენს მოჭადრაკე ვაჟთა ნაკლოვანებებს, არამედ რამდენადმე „გამოაფხიზლებს" მათ და მეტი პასუხისმგებლობის გრძნობას შთაუნერგავს.

ერთი სიტყვით, ჩვენი ჭადრაკის ავანგარდს მეტი ყურადღების გამოჩენა მართებს ქართული საჭადრაკო სკოლის დაწინაურებისთვის. ან იქნებ ზოგიერთი ფიქრობს, რომ ამ დარგში არსებული ერთგვარი კრიზისი უნდა მიეწეროს ნიჭიერი ახალგაზრდობის ნაკლებობას. არ გვინდა „ბოროტად" გამოვიყენოთ კლასიკური მაგალითი, მაგრამ ერთხელ კიდევ აღვნიშნავთ, რომ მსოფლიოს ექსჩემპიონი ტიგრან პეტროსიანი წარმოშობით თბილისელი გახლავთ. ან გავიხსენოთ ვიქტორ გოგლიძე, არჩილ ებრალიძე...

ბრწყინვალე თანავარსკვლავედი გახლავთ. რატომ ვამბობთ ამას? ქართულ ჭადრაკს ტრადიციულად ამოუწურავი რეზერვები ჰქონდა და იგი დღემდე არ დაცლილა, პირიქით...

საქართველოში ჭადრაკი ერთობ პოპულარული სახეობაა და თითქმის ყოველი ქართველი გატაცებით ადევნებს თვალყურს საჭადრაკო ცხოვრებას. მით უფრო მეტი საფუძველი გვაქვს ჩვენი მოჭადრაკე ვაჟებისგან თვალსაჩინო წარმატებები მოვითხოვოთ. ეს გზა, კარგად გვესმის, სულაც არ არის იოლი, რადგანაც ვაჟთა ჭადრაკი საბჭოთა ქვეყანაში ერთობ მაღალ დონეზე დგას. მაგრამ არც ერთი ადგილის ტკეპნა გვარგებს რასმე. და ნუ დაგვძრახავთ, თუ კი უდიდესი სურვილი გვაქვს ჩვენი ვაჟებიც ქალების დარად ვიხილოთ თუ საკავშირო ჩემპიონის კვარცხლბეკზე არა, პრიზიორთა შორის მაინც.

გულშემატკივართა წერილების მიხედვით სტატია მოამზადა **ა. გოგელიამ.**

ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი ფეხბურთი

## საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

### I ჯგუფი

● ასკ (თბილისი) — „მეშახტე" (ტყიბული) 3:1. მსაჯი თ. ფანიაშვილი (თბილისი).

არმიელები თავიდანვე ფლობდნენ უპირატესობას, თუმცა შესვენებამდე წარმატებას ვერ მიაღწიეს. ანგარიში 55-ე წუთზე გახსნა დვალიშვილმა, შემდეგ დარჯანიამ და ოსაძემ კიდევ ზედიზედ ორჯერ აიღეს სტუმრების კარი. მატჩის ბოლო წუთებზე ლოლომაძემ შეძლო ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა.

წესრიგის დარღვევისთვის გაფრთხილება მიიღო გ. ლოლომაძემ („მეშახტე"), რაც მისთვის მეორე შემთხვევაა წლეულს.

● „ლოკომოტივი" (თბილისი) — „კახეთი" (თელავი) 2:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

გარდამავალი უპირატესობის პირობებში ლოკომოტიველები უფრო ზუსტად იყენებდნენ მეტოქის კართან შექმნილ სახიფათო მომენტებს. ბურთები გაიტანეს დარახველიძემ და ხანაძემ.

● „კოლხეთი" (ხობი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 1:3. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).

ბრძოლის მსვლელობით მასპინძლებს თითქოს არ უნდა წაეგოთ მატჩი, მაგრამ ძალიან სუსტად, უხეში შეცდომებით ითამაშეს მეკარემ და მცველებმა, რითაც კარგად ისარგებლეს გაგუამ (2) და ზ. დანელიამ. ხობელთაგან ბურთის გატანა შეძლო ჯოჯუამ.

● „სულორი" (ვანი) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 1:3. მსაჯი ჟ. ძნელაძე (თბილისი).

28-ე წუთზე კუთხურიდან მოწოდებულ ბურთს ოჩამჩირელმა დლობამ მიუსწრო და ანგარიში გახსნა. ამას მოჰყვა სტუმრების ახალი იერიშები და ჭითანავამ მეორედ დააწყებინა ვანელებს ცენტრიდან თამაში. შემდგომში სოსელიამ შეძლო ანგარიში სხვაობის შემცირება, მაგრამ 86-ე წუთზე „სულორის" მეკარე რამიშვილის შეცდომის შედეგად მესამე გოლი იქნა გატანილი (ლოგუა).

● „ივერია" (ხაშური) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 2:1. მსაჯი დ. აბულაძე (ქუთაისი).

ხაშურელები დაწინაურდნენ 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით (კიკაძე), მერე კი საკუთრივ მოუხდათ თამაშის ცენტრიდან დაწყება ასევე პენალტის შემდეგ, რომელიც გლინიანოვმა გაიტანა. „ივერიას" გამარჯვება მოუტანა გუნცაძის მიერ 81-ე წუთზე გატანილმა გადამწყვეტმა გოლმა.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილებულია ხაშურელი ე. კურტანიძე.

● ასკ (თბილისი) — „დინამო" (სოხუმი) 2:1. მსაჯი ვ. გოგაშვილი (თბილისი).

დინამოელები გააზრებულად, კომბინაციურად თამაშობდნენ და 39-ე წუთზე დაწინაურდნენ (ხარაბაძე). შესვენების შემდეგ არმიელებმა საგრძნობლად გააძლიერეს იერიშები, კარგად გამოიყენეს მოპირდაპირე დაცვაში დაშვებული შეცდომები და დვალიშვილის მიერ გატანილი ორი გოლით გაიმარჯვეს.

● „მეშახტე" (ტყიბული) — „მადაროელი" (ჭიათურა) 2:1. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

მე-8 წუთზე „მადაროელის" კარში დაინიშნა პენალტი, მაგრამ მეკარე იმედაძემ მოიგერია აუშტროვის მიერ დარტყმული ბურთი. მეორე ტაიმში თითქმის 10-წუთიანი ინტერვალით ორი ბურთი გაიტანა ჭიათურელთა კარში, შეხვედრის დასასრულს კი კაციტაძემ შეძლო მეშახტეთა კარში დანიშნული პენალტის გამოყენება.

გაფრთხილებული არიან ტყიბულელი ო. ბოცვაძე და ჭიათურელი ა. კენჭაძე.

● „განთიადი" (თბილისი) — „კახეთი" (თელავი) 1:0. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

ბურთი გაიტანა ხაჩატურიანმა.

● „სპარტაკი" (ცხინვალი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:3. მსაჯი ა. აფრიდონიძე (ქუთაისი).

სპარტაკელებმა კარგად დაიწყეს თამაში და მალე დაწინაურდნენ (ჯიჭოევი). შემდგომში უპირატესობამ მთლიანად სტუდენტთა მხარეს გადაინაცვლა, ანგარიში გაათანაბრა წიკლაურმა, ძაგოევმა და თუნთიამ კი კიდევ ორი ბურთი გაიტანეს მასპინძელთა კარში.

● „ეგრისი" (ცხაკაია) — „შუქურა" (ქობულეთი) 6:0. მსაჯი ა. დურსუნიში (სოხუმი).

ქობულეთელმა ფეხბურთელებმა ძალიან ცუდად ითამაშეს და დიდი ანგარიშითაც დამარცხდნენ. 2-2 ბურთი გაიტანეს ხოფერიამ, ქაჩიბაიამ, ერთიც ჯოჯუამ.

ერთმანეთის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის გაფრთხილებული არიან ცხაკაიელი ბ. დარასელია და ქობულეთელი ვ. მელნიკოვი.

● „ლოკომოტივი" (თბილისი) — „ვარძია" (ასპინძა) 3:1. მსაჯი ა. აბულაშვილი (თბილისი).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 23 | 15 | 6 | 2 | 49—15 | 36 |
| „მადაროელი" | 26 | 16 | 4 | 6 | 48—17 | 36 |
| ასკ (თბ.) | 26 | 15 | 6 | 5 | 55—30 | 36 |
| „სალხინო" | 25 | 11 | 11 | 3 | 41—22 | 33 |
| „დინამო" | 25 | 13 | 6 | 6 | 48—25 | 32 |
| „ეგრისი" | 26 | 12 | 5 | 9 | 40—30 | 29 |
| ფიზკ. ინსტ | 23 | 11 | 6 | 6 | 44—34 | 28 |
| „ლოკომ." | 24 | 10 | 8 | 6 | 37—30 | 28 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 25 | 10 | 7 | 8 | 41—36 | 27 |
| „ამირანი" | 25 | 11 | 5 | 9 | 30—29 | 27 |
| „კახეთი" | 26 | 10 | 6 | 10 | 41—43 | 26 |
| „შუქურა" | 26 | 9 | 7 | 10 | 34—29 | 25 |
| „კოლხეთი" | 25 | 7 | 10 | 8 | 33—34 | 24 |
| „მეშახტე" | 26 | 10 | 4 | 12 | 34—46 | 24 |
| „ქართლი" | 25 | 9 | 5 | 11 | 41—42 | 23 |
| „განთიადი" | 26 | 5 | 7 | 14 | 28—47 | 17 |
| „ვარძია" | 26 | 6 | 3 | 17 | 25—47 | 15 |
| „სულორი" | 26 | 5 | 5 | 16 | 24—72 | 15 |
| „ივერია" | 26 | 5 | 3 | 18 | 25—58 | 13 |
| „სპარტაკი" | 26 | 4 | 4 | 18 | 29—61 | 12 |

### II ჯგუფი

I ზონა

„ყინწვისი" (ქარელი) — „დურუჯი" (ყვარელი) 3:4, „მადნეული" (ბოლნისი) — „დურუჯი" (ყვარელი) 1:0, „ჰერეთი" (ლაგოდეხი) — „კოლმეურნე" (ბორჯომი) 4:2, „ცისკარი" (სიღნაღი) — „მესხეთი" (ახალციხე) 2:4.

II ზონა

„იმერეთი" (თერჯოლა) — ჩაის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) 10:0, „სამგურალი" (წყალტუბო) — „მზიური" (გალი) 2:3, „სქური" (წალენჯიხა) — „კოლმეურნე" (წულუკიძე) 2:1, „კოლმეურნე" (გულრიფში) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 2.4.

### ზონალური გათამაშება

„იორი" (სართიჭალა) — „პოლიტექნიკოსი" (საგარეჯო) 0:8, „ლესიჭინე" (ჩხოროწყუ) — „კოლმეურნე" (ლანჩხუთი) 4:1, „არაგვი" (მცხეთა) — „თრიალეთი" (წალკა) 2:0, „წინანდალი" (თელავი) — „ქიმიკოსი" (ახმეტა) 3:3, „ხვანჭკარა" (ამბროლაური) — „ლესიჭინე" (ჩხოროწყუ) 0:3. თიანეთის „იორს" მოგება ჩაეთვალა თელავის „წინანდალთან", აგარის „მეშაქრეს" — ბოგდანოვკის „ფარავნასთან", მარნეულის „სპარტაკს" — თეთრი წყაროს „გარისთან".

## სსრ კავშირის პირველობა

# ქულები სტუმრადაც, შინაც...

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 16 სექტემბერი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 3:2 (1:1).

„ტორპედო": გაბელია, ფიფია, სულაქველიძე, ქვირია, ჰოხონელიძე, ოქროპირაშვილი, ჩახუნაშვილი, შელია, ფისტვენიძე, ხერხაძე, გაბიჩვაძე (ბურკაძე).

„ყუბანი": არტიომენკო, პოლოვინკო, სურენკოვი (სტაროცოვი), ლუპანოვი, მოლჩანოვი, კაზაკოვი, ობეძინსკი (ცედრუსი), ივანოვი, ფურსა, ჩუგუნოვი, პისაკოვი.

მსაჯი ვ. ლეყიტინი (მოსკოვი).

დუბლიორები — 0:1.

სტუმრად მატჩების სერია წლეულს ქუთაისის „ტორპედოს" ისე წარმატებით არ დაუმთავრებია, როგორც სულ ახლახან — 4 ქულა 8-დან. ამან შესაძლებლობა შეუქმნა გუნდს ახალი პერსპექტივით იბრძოლოს მოწინავე ჯგუფში მოსახვედრად.

მატჩმა „ყუბანთან", რომელიც აუტსაიდერთა რიგებში ირიცხება, ტორპედოელებს ახალი ქულები შესძინა, თუმცა გამარჯვება არც ისე იოლი გამოდგა, როგორც ამას გულშემატკივრები მოელოდნენ. მატჩი დაიწყო იმით, რომ სტუმრები ერთ-ერთი კონტრშეტევისას, მე-11 წუთზე, კაზაკოვმა დააწინაურა, მაგრამ გავიდა ხუთიოდე წუთი, ჩახუნაშვილმა კუთხური მიაწოდა კრასნოდარელთა კართან, ბურთი მოხვდა ერთ-ერთ მცველს და ბადეში აღმოჩნდა — 1:1.

ტაიმის დასასრულამდე ქუთაისელები მეტოქის კარს არ მოსცილებიან, არტიომენკოს ძნელი ბურთების აღება მოუხდა ჯერ გაბიჩვაძის, მერე კი შელიასგან.

შესვენების შემდეგ „ტორპედომ" კიდევ უფრო უმატა ტემპს. პირველივე 5 წუთის მანძილზე „ყუბანის" კართან 5 კუთხური იქნა მოწოდებული. 54-ე წუთზე ხერხაძის ძლიერი დარტყმის შემდეგ ბურთი მოხვდა მცველს, მიუვიდა ჩახუნაშვილს და ამ უკანასკნელმა კარში გაგზავნა იგი.

62-ე წუთზე ოქროპირაშვილმა კარგად გამოიყენა ჩახუნაშვილის ზუსტი გადაცემა და სტუმრებს მესამედ მოუხდათ თამაშის დაწყება ცენტრიდან.

71-ე წუთზე ტორპედოელთა მხარეს დაინიშნა საჯარიმო. ბურთმა მოძებნა გზა მცველთა მიერ უსწოროდ აღმართულ კედელში და ბადეში აღმოჩნდა.

დარჩენილ დროში ქუთაისელებს გოლის გატანის რამდენიმე აშკარა შესაძლებლობა მიეცათ, მაგრამ მათი გამოყენება ვერ შეძლეს.

20 სექტემბერს ქუთაისის „ტორპედოს" ერთობ საპასუხისმგებლო მატჩი ელის საკუთარ მინდორზე როსტოვის არმიელთა გუნდთან.

Ვ. ნიჟარაძე.
(ჩვენი კორ.).

## I ლიგა

### სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „შინიკი" (იაროსლავლი) 1:1, „მეტალურგი" (ლიპეცკი) — „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო) 3:2, „ტავრია" (სიმფეროპოლი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 3:1, „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) — „დინამო" (მინსკი) 0:1, „კუზბასი" (კემეროვო) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 2:1, „ნეფთჩი" (ბაქო) — ასკ (დონის როსტოვი) 1:0, „სტროიტელი" (აშხაბადი) — „სპარტაკი" (ნალჩიკი) 0:1, „პამირი" (დუშანბე) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 4.1.

## II ლიგა III ზონა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო" (ვლადიმირი) | 30 | 17 | 9 | 4 | 45—19 | 43 |
| „დინამო" (ბათუმი) | 30 | 16 | 10 | 4 | 42—15 | 42 |
| „დილა" (გორი) | 30 | 18 | 5 | 7 | 71—32 | 41 |
| „დინამო" (ვოლოგდა) | 30 | 15 | 9 | 6 | 47—27 | 39 |
| „ისკრა" (სმოლენსკი) | 31 | 16 | 7 | 8 | 46—26 | 39 |
| „ურალანი" (ელისტა) | 31 | 16 | 6 | 9 | 45—30 | 38 |
| „ხიმიკი" (ძერჟინსკი) | 30 | 14 | 8 | 8 | 42—27 | 36 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 30 | 13 | 8 | 9 | 37—38 | 34 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 31 | 13 | 5 | 13 | 40—42 | 31 |
| „დინამო" (სტავროპოლი) | 31 | 11 | 8 | 12 | 44—32 | 30 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 30 | 13 | 4 | 13 | 44—38 | 30 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 31 | 7 | 14 | 10 | 36—39 | 28 |
| „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) | 31 | 11 | 5 | 15 | 32—38 | 27 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 30 | 11 | 5 | 14 | 38—49 | 27 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 30 | 8 | 10 | 12 | 35—48 | 26 |
| „დინამო" (ზუგდიდი) | 31 | 10 | 5 | 16 | 32—56 | 25 |
| „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) | 30 | 10 | 3 | 17 | 30—44 | 23 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 31 | 8 | 6 | 17 | 25—46 | 22 |
| „ლორი" (კიროვაკანი) | 30 | 3 | 8 | 19 | 18—62 | 14 |
| „ფოლადი" (ხუმგაითი) | 30 | 5 | 3 | 22 | 18—59 | 13 |



ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვიუწყებოდით რუსთავის „მეტალურგის" წარმატებაზე ფიზკულტურის კოლექტივების საკავშირო თასის გათამაშებაში. მაგრამ მოსკოვის „ალმასთან" გამარჯვებით რუსთაველები გავიდნენ არა მერვედფინალში, არამედ მეოთხედფინალში, სადაც მათი მეტოქე იქნება მინერალური წყლების „ლოკომოტივი".

რუსთავის „მეტალურგისა" და მინერალური წყლების „ლოკომოტივის" მეოთხედფინალური მატჩი 21 სექტემბერს გაიმართება რუსთავში, „მეტალურგის" სტადიონზე. დასაწყისი 17 საათზე.

სურათზე: რუსთავის „მეტალურგისა" და მოსკოვის „ალმასის" მერვედფინალური მატჩის მომენტი, რომელიც მეტალურგებმა მოიგეს ანგარიშით 2:0. მასპინძლები უტევენ.

რ. გაბრიჭიძის ფოტო.

### რეკორდები

ბერლინში დამთავრდა სოციალისტური ქვეყნების „დინამოსა" და მისი მონათესავე საზოგადოებების მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც წარმატებით იასპარეზა თბილისელმა ჯ. ფხაკაძემ. უროს ტყორცნაში მან საერთაშორისო კლასის შედეგით (74,33 მ) გაიმარჯვა და თავისივე რესპუბლიკური რეკორდი გააუმჯობესა.

**ჯ. ფხაკაძე — 74,33 მ**

# უნივერსიტეტელები „ოქროს სანაპიროზე"

თბილისის უნივერსიტეტის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი „ოქროს სანაპირო" 14 წელია, რაც მასპინძლობას უწევს გუდაუთში ჩასულ სტუდენტებსა და თანამშრომლებს. პირველი ორი ნაკადი სტუდენტთა განკარგულებაშია, ხოლო მესამე — უნივერსიტეტის თანამშრომელთათვის.

წლეულს „ოქროს სანაპიროზე" 340-მდე სტუდენტმა და 110 თანამშრომელმა დაისვენა. ბანაკში განსაკუთრებით დიდი ყურადღება ეთმობოდა მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებას.

ამ ზაფხულს „ოქროს სანაპიროზე" ბევრი სპორტული ღონისძიება ჩატარდა. კერძოდ, შეჯიბრებები მშდ კომპლექსის მრავალჭიდში, ჩოგბურთში, შაშში, ჭადრაკში, ფრენბურთში, კალათბურთში, ფეხბურთში... საინტერესო იყო ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: „ოქროს სანაპირო" — მიუსერა — „ოქროს სანაპირო".

ბანაკის დამსვენებლებმა ამხანაგური შეხვედრა გამართეს ახალსოფლის ფეხბურთელთა გუნდთან.

ლ. ხეცურიანი,
უნივერსიტეტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის მასწავლებელი.

# •KOPANA•ФУТБОЛ•ფეხბურთი•LABdARUGAS•

## ჯერჯეროვით — იმედის გაცრუება

როგორც ესპანელი ჟურნალისტი ხოსე გარსია ბერლინის გაზეთ „დოიჩეს შპორტეჰოში“ წერს, „ბარსელონის“ ჰოლანდიელი ვარსკვლავები კრუიფი და ნესკენსი ჯერჯერობით იმედს უცრუებენ მაყურებლებს.

ნახევარი საათიც არ იყო გასული ესპანეთის ჩემპიონატის მატჩში სან-სებასტიანის „რეალთან“, რომ „ბარსელონა“ უკვე ანგარიშით 0:3 აგებდა. ნესკენსი სრულიად უფერულად თამაშობდა და მწვრთნელ მიხელსს იგი მეორე ტაიმში მინდორზე აღარც გამოუყვანია (როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, ეს შეხვედრა „რეალმა“ მოიგო — 3:2).

აშ უშიშარმა პოლონელმა ქალმა თავისი იახტით, რომელსაც „კომოდორი“ ჰქვია, მარტოდმარტომ გადალახა ატლანტის ოკეანე — ინგლისის საპორტო ქალაქ პლიმუტიდან ამერიკის ნაპირს მიადგა. „ჩვენ არ გვსურს რამეში ჩამოვრჩეთ კაცებს“, — თქვა ამ გაბედული ლაშქრობის დამთავრებისას ტერესა რემიშევსკამ, რომელმაც ფაქტიურად დაამტკიცა თავისი მოსაზრების ჭეშმარიტება.

ცაფ—უნიფაქსის ფოტო.



## 38 წლის შემდეგ

ჩვენ ვიუწყებოდით ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ მწვრთნელ ბ. ნიკოლსონის გადადგომის შესახებ.

ნიკოლსონის კარიერამ ამ კლუბში უჩვეულოდ დიდ ხანს, 38 წელს გასტანა. იგი მოთამაშე იყო, შემდეგ — მწვრთნელის ასისტენტი, ბოლო 15 წლის მანძილზე კი — მწვრთნელი.

## ეტყობა, საბოლოოდ...

34 წლის ამანსიომ, რომელიც ბოლო დრომდე რჩებოდა მადრიდის „რეალის“ წამყვან ფეხბურთელად, ესპანეთის თასის გათამაშების მატჩში „გრანადასთან“ ფეხი მოიტეხა.

მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ეს ფაქტიურად ამანსიოს საფეხბურთო კარიერის დასასრულს მოასწავებს.

## ამერიკელთა ორი წაგება

მეხიკოსა და დალასში გაიმართა მექსიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები გუნდების ორი შეხვედრა. ამით დაიწყო დ. კრამერის ოფიციალური მოღვაწეობა აშშ-ს ნაკრების მწვრთნელის პოსტზე.

მექსიკელებმა გაიმარჯვეს მეხიკოშიც და დალასშიც.

## „აიაქსი“ ზომებს მიმართავს

შარშანდელ სეზონში მარცხის შემდეგ ამსტერდამის „აიაქსის“ ხელმძღვანელობამ ზომებს მიმართა გუნდის შემადგენლობის გასაძლიერებლად.

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ კლუბმა ხანგრძლივი ხელშეკრულება დადო ეროვნული ნაკრების მეკარე იონგბლადთან, მერე კი „აიაქსში“ გადავიდა ჰოლანდიის ნაკრების თავდამსხმელი ბროკამპი, რომელიც აქამდე ჰოლანდიის I ლიგის კლუბ „მაასტრიხტში“ თამაშობდა.

## „ბენფიკას“ გამარჯვება

ბელუ-ორიზონტიში (ბრაზილია) მოეწყო საინტერესო საერთაშორისო ტურნირი, სადაც ბრაზილიის „ატლეტიკოსა“ (მინეირო) და „კრუზეიროსთან“ (ბელუ-ორიზონტი) ერთად თამაშობდნენ პორტუგალიის უძლიერესი კოლექტივები — დედაქალაქის გუნდები „ბენფიკა“ და „სპორტინგი“.

I ადგილისთვის მატჩში „ბენფიკამ“ ანგარიშით 1:0 სძლია „ატლეტიკოს“. III ადგილი დარჩა „კრუზეიროს“, რომელმაც ანგარიშით 6:0 დაამარცხა „სპორტინგი“.

## ბ. ჩარლტონის მე-200 გოლი

ამას წინათ ბ. ჩარლტონს მადრიდის „ატლეტიკოს“ ემისრები ეწვივნენ და შესთავაზეს ამ გუნდის მწვრთნელის პოსტი. ინგლისელმა ვეტერანმა ისინი ცივი უარით გაისტუმრა.

როგორც მიმომხილველები იუწყებიან, ჩარლტონმა გადაწყვიტა გამოაცოცხლოს თავისი გუნდის „პრესტონ ნორთ ენდის“ ჩავარდნა — მეორედან მესამე ლიგაში გადასვლა. ამ მიზნით იგი მწვრთნელის მოვალეობის შესრულებასთან ერთად თამაშობს კიდეც. ამ ფეხბურთელის მინდორზე გამოჩენა აშკარად დაეტყო „პრესტონ ნორთ ენდს“, რომელმაც ანგარიშით 3:0 სძლია „ბერის“. ერთი გოლი თვით ჩარლტონმა გაიტანა, რომელიც მე-200 აღმოჩნდა მის ანგარიშზე ინგლისის ლიგებში გამოსვლის პერიოდში.

## ობიექტივის მსოფლიო

ვანმოვარჯიშეთა ასეთი გამოსვლები ღია ცის ქვეშ ამერიკის შეერთებულ შტატებში არც თუ იშვიათი მოვლენაა. ამ სურათზე სწორედ ერთ ასეთ საჩვენებელ გამოსვლას ხედავთ.

იუნაიტედ პრესის ფოტო.



## აზიის თამაშების ფინიში

თეირანი, 17 სექტემბერი. ირანის დედაქალაქში თვალწარმტაცი ცერემონიით დამთავრდა აზიის VII თამაშები. ამ საინტერესო ასპარეზობაში, რომელიც ორ კვირას გაგრძელდა, 25 სახელმწიფოს 3000-მდე სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა.

შეჯიბრება 16 სახეობაში ჩატარდა. ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწიეს იაპონელებმა, რომლებმაც 75 ოქროს, 50 ვერცხლის და 51 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი 17 წლის იაპონელმა მოსწავლემ ისიმი ნისიგავამ, რომელმაც ცურვაში 5 ოქროს მედალი მოიგო (საერთოდ იაპონელმა მოცურავეებმა 25 სახეობიდან 22 მოიგეს) და ირანელმა თეიმურ გიასიმ, რომელმაც 221 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახა.

აზიის შემდეგი თამაშების მასპინძელი პაკისტანი იქნება 1978 წელს. (საკდესი).

## ისრაელი გარიცხეს

აზიის ფეხბურთის კონფედერაციის კონგრესის სპეციალური რეზოლუციით ისრაელი გარიცხულია ამ კონფედერაციის ყველა შეჯიბრებიდან. ეს გადაწყვეტილება გამოწვეულია ისრაელის ანექსიონისტური პოლიტიკით ოკუპირებული არაბეთის მიწების მიმართ. (საკდესი — რეიტერი).

## ბიბლიოთეკა

### რინგიდან ეკრანზე

მას შემდეგ, რაც რინგს ჩამოცილდა ინგლისისა და ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი ჰ. კუპერი, ძველი სამყაროს პროფესიული კრივის ცხოვრებაში ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, კუპერის ღირსეული შემცვლელი ჯერ არ ჩანს.

ამან საგონებელში ჩააგდო ევროპის კრივის მეცენატები, ვინაიდან არც ერთ წონითს კატეგორიას არ მოაქვს იმდენი მოგება, რამდენიც მძიმეს. ამიტომ მენეჯერები კარგა ხანს ამაოდ ცდილობდნენ გადამდგარი ჩემპიონის დაბრუნებას. კუპერს რამდენიმე ხელსაყრელი კონტრაქტი შესთავაზეს ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, მაგრამ მოკრივეს რინგის ხსენებაც აღარ უნდოდა.

ყოფილი ჩემპიონი ამჟამად ცნობილი კინომსახიობია ინგლისში და ფიქრობს, რომ ეს პროფესია გაცილებით უხიფათოა.

ჰ. კუპერს მართლაც ბუზებივით დაეხვივნენ კინოპროდიუსერები. გადამდგარ სპორტსმენში მათ ბევრი რამ ხიბლავდათ, ყველაზე მეტად კი კრივით დასახიჩრებული სახე და სახელი, რომელიც იმთავითვე რეკლამის საიმედო გარანტიას იძლეოდა.

კუპერმა განგსტერის რამდენიმე „დაუვიწყარი“ სახე შექმნა ინგლისურ ეკრანზე, მაგრამ, კრიტიკოსების აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება მისი ბოლო როლი. ორ პოპულარულ კინოვარსკვლავთან ტონი კურტისთან და მარიანა ტეისფულთან ერთად იგი მონაწილეობს ფილმ „სისხლიანი დოლარების“ გადაღებაში. კუპერი ამჯერადაც განგსტერის როლს ასრულებს, მაგრამ უფრო „კეთილშობილურს“.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

საქართველოს სპორტკომიტეტი, რესპუბლიკის ჩოგბურთის ფედერაცია, „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭო და გაზეთ „ლელოს“ რედაქცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ჩოგბურთში, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე

**არამ გერასიმეს ძე ხანგულიანი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი — 18 სექტემბერს 19 ს. მაყაშვილის ქ. № 1. გამოსვენება 19 სექტემბერს 16 საათსა და 30 წუთზე „დინამოს“ საჩოგბურთო სტადიონიდან (სტალინის სანაპირო, № 2).


**თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტული სკოლის დირექცია აცხადებს მოსწავლეთა მიღებას** შემდეგ სახეობებში: თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, სამბოში, კრივში, ველოსპორტში, ტყვიის სროლაში, მაგიდის ჩოგბურთსა და ჩოგბურთში.

სპორტსკოლაში აღიზარდნენ გამოჩენილი სპორტსმენები, მსოფლიოსა და ევროპის, ოლიმპიური თამაშებისა და სსრ კავშირის ჩემპიონები, სპორტის დამსახურებული ოსტატები დ. ციმაკურიძე, გ. კარტოზია, რ. რურუა, გ. ხალარაძე, რ. აბაშიძე, ზ. ბერიაშვილი, შ. ქველიაშვილი, თ. კაკულია და სხვ.

ამჟამად სკოლაში ასწავლიან სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელები: პ. იორდანიშვილი, ნ. აკოფოვი, გ. ჯულუხიძე, გ. ბასიაშვილი, ს. ბახტაძე, მ. კლდიაშვილი, მ. ქობალია, გ. ბექთაშევი, ბ. ლუკასიანი, ა. გოლდშტეინი, ნ. გაჩეჩილაძე, ქ. ნინიაშვილი, კ. ნინიაშვილი...

სპორტსკოლაში მიიღებიან თბილისის განათლების განყოფილების საშუალო სკოლების მოსწავლეები.

ცხადდება მიღება შემდეგ ჯგუფებში:

**სამბო, თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობა** (მიიღებიან 10-15 წლის ჭაბუკები). ორჯონიკიძის ქ. № 38, ჭიდაობის ცენტრალურ დარბაზში, ყოველდღე, კვირის გარდა, 16-დან 18 საათამდე.

**კრივი** (მიიღებიან 11-15 წლის ჭაბუკები). წერეთლის პრ. № 62, ყოველდღე, კვირის გარდა, 16-დან 18 საათამდე.

**ტყვიის სროლა** (მიიღებიან 12-15 წლის ჭაბუკები). პიონერთა სასახლის ტირი, სტუდქალაქის ტირი (ვაკე), კიროვის რაიონის დოსააფის ტირი (გორგასლის ქ. № 4-ა), ყოველდღე, კვირის გარდა, 14-დან 20 საათამდე.

დაწვრილებითი ცნობებისთვის შეგიძლიათ მიმართოთ ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სპორტული სკოლის დირექციას, თბილისი, ლენინის მოედანი № 2, ოთახი № 120, ტელეფონი 93-88-36.

სპორტსკოლის დირექცია.


ИНДЕКС 66443 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 14126